ხელშეკრულება №26/06

სახელისუფლებო სპეციალური კავშირებით მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 14 იანვარი 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო" (შემდგომში-"შემსრულებელი") მისი უფროსის მოადგილის ზაზა ლომიძის სახით, ერთის მხრივ,

და

თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში-„აბონენტი") წარმოდგენილი აღმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ბოძახიძის სახით, მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე «შემსრულებელი» ახორციელებს «აბონენტის» სპეცკავშირების სიტემით საკომუნიკაციო მომსახურებას.

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე «შემსრულებელი» ახორციელებს «აბონენტს» სპეცკავშირების სისტემით მომსახურებას, ხოლო სატელეფონო ნომრების დამატებით ჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა რთავს დამატებით ნომრებს სპეცკავშირების მომსახურების ქსელში.

2.2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან «აბონენტის» მიერ «შემსრულებლისათვის» წარდგენილი იქნება მხოლოდ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში «შემსრულებელი» მის მიერ გაწეულ მომსახურებას განიხილავს უნაკლოდ.

მუხლი 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ფასი - სააბონენტო და ფასიანი ზარების გადასახადისათვის გათვალისწინებული თანხა - 2011 წლის 31 დეკემბრამდე „აბონენტის" გამოთვლით განისაზღვრება 17 000,00 (ჩვიდმეტი ათასი) ლარით;

3.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით „შემსრულებლის" მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარშიფაქტურის საფუძველზე.

3.3. "აბონენტი" სპეცკავშირის სისტემით მომსახურების მიზნით იხდის სააბონენტო და წუთობრივ დავალიანებას ფაქტიურად განხორციელებილი მომსახურების შესაბამისად, სააბონენტო გადასახადის საფასურს დანართი 1-ში აღნიშნული თანხის ოდენობით, ხოლო მობილურ, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო წუთობრივ დავალიანებას იხდის დანართი 2-ში აღნიშნული ტარიფის მიხედვით.

– სპეცკავშირების სისტემის ქსელიდან ფიქსირებული ქსელის (თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში) მიმართულებით განხორციელებული ზარების მომსახურების ღირებულება შეადგენს 1 წუთზე 0,024 ლარს;

– მხარეები თანხმდებიან, რომ ფაქტიურად გაწეულ მომსახურებად განიხილება ის შემთხვევაც, როდესაც სისტემის ტელეფონი ჩართულია სპეცკავშირების სისტემის ქსელში, მიუხედავად იმისა, „აბონენტი" უშუალოდ სარგებლობს თუ არა ამ მომსახურებით.

3.4. სახელშეკრულებო ფასი წარმოადგენს ღირებულებით პარამეტრს და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიძლება განიცადოს ცვლილებები, როგორც გაზრდის, ასევე შემცირების მხრივ, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, რაზედაც მხარეები აფორმებენ წერილობით შეთანხმებას.

მუხლი 4 მხარეთა ვალდებულებანი

4.1. **«შემსრულებელი» ვალდებულია:**

4.1.1. უზრუნველყოს «აბონენტი» საიმედო, უსაფრთხო და ოპერატიული კავშირით;

4.1.2. უზრუნველყოს სპეცკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამართული მუშაობა, გარდა „აბონენტისა" და მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა;

4.1.3. ოპერატიულად (შესაძლო მოკლე ვადაში) მოახდინოს სპეცკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დაზიანების აღმოფხვრა, გარდა მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა.

4.1.4. აბონენტს ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგინოს ანგარიშ–ფაქტურა გასულ თვეში გაწეული მომსახურების შესახებ. საგადასახადო კვარტლის დასრულების შემდეგ, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე აბონენტს წარუდგინოს შედარების აქტი გაწეული მომსახურებისა და აბონენტის მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების

შესახებ, ხოლო საგადასახადო წლის დასრულების შემდეგ მთლიანი წლის შედარების აქტი მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

4.2. **«აბონენტი» ვალდებულია:**

4.2.1. უზრუნველყოს «შემსრულებლის» თანამშრომელთა შეუფერხებელი დაშვება იმ ობიექტებზე, რომელიც გამოიყენება ამ ხელშეკრულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგნის შესრულებისას;

4.2.2. მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. მათ შორის უზრუნველყოს „აბონენტის" მფლობელობაში არსებული სპეკკავშირების სისტემის აპარატურისათვის საერთაშორისო ქსელის „ინტერნეტისა" და ელ.ენერგიის მიწოდება.

4.2.3. ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობები შემსრულებლის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე სპეკკავშირის სისტემით მომსახურებისთვის ყოველი საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე შემსრულებლის ანგარიშზე გადაიხადოს მისთვის გასულ თვეში გაწეული მომსახურების გადასახადი, შემდგომში მოხსენიებული როგორც «დავალიანება».

4.2.4. გადაიხადოს ფიქსირებული ქსელის (თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში) მიმართულებით ფაქტობრივად განხორციელებული ზარების მომსახურების ღირებულება ან ყოველთვიურად ფიქსირებული გადასახადი ერთ სატელეფონო ნომერზე 20 (ოცი) ლარი. ხოლო აღნიშნულის შესახებ, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე წერილობით აცნობოს „შემსრულებელს", რომელიც განიხილება მოცემულ საკითხზე მხარეთა შორის შეთანხმებად.

4.2.5. შემსრულებლის მიერ შედარების აქტის წარდგენიდან 3 დღეში უზრუნველყოს მისი ხელმოწერა, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, სათანადო მიზეზის მითითებით, ამავე ვადაში აცნობოს შემსრულებელს წერილობით.

4.2.6. შეუფერხებლად და უპირატესად გამოუყოს "შემსრულებელს" მის სარგებლობაში მყოფი ქსელები, არხები და სპეკკავშირის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები.

4.2.7. უზრუნველყოს მიღება - ჩაბარების აქტით გადაცემული სატელეფონო აპარატურისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შენახვა, მათ შორის ლუქების დაცულობა.

4.2.8. აანაზღაუროს ყველა ის ზარალი, რომელიც საკუთარი მიზეზით მიადგა «შემსრულებლის» კუთვნილ ტექნიკურ საშუალებებს;

4.2.9. «შემსრულებლის» თანხმობის გარეშე არ გადაიტანოს სპეკკავშირის სისტემის სატელეფონო ნომერი სხვაგან, აგრეთვე არ ჩართოს პარალელურად სხვა აპარატი, არ დაუშვას მონაცემთა გადაცემის ან სხვა მოწყობილობების თვითნებური ჩართვა ქსელში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს უნაზღაურებს მიყენებულ ზარალს საბაზრო ფასების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. «შემსრულებელი» უფლებამოსილია «აბონენტს» დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყვიტოს მომსახურება, «შემსრულებელის» მიერ მისთვის მომსახურების შეწყვეტიდან 30 დღის შემდეგ მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, გამორთოს «აბონენტი» სპეკკავშირით მომსახურების ქსელიდან და მიიღოს ზომები დავალიანების ამოსაღებად;

მიყენებული ზიანისთვის საზღაურის გაცემის და/ან დავალიანების გადახდის შეჩერების შემთხვევაში "შემსრულებელი" უფლებამოსილია "აბონენტს" გადაახდევინოს საურავის სახით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,1 პროცენტი.

5.3. «შემსრულებელი» საკუთარი ხარჯებითაა პასუხისმგებელი სპეკკავშირის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობების დაზიანებაზე იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ასეთი დაზიანება არ არის გამოწვეული «აბონენტის» მიზეზით.

მუხლი 6. ფორსმაჟორული გარემოებები

6.1. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.2. ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3. ნებისმიერი მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულებიდან გასვლას, ვალდებულია წერილობით 1 (ერთი) თვით ადრე აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.4. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიური შეუსრულებლობისას. სისტემატურად ჩაითვლება 2 თვის ვადით ვალდებულების შეუსრულებლობა.

7.5. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები წარმოადგენენ ურთიერთანგარიშსწორების საბოლოო ოქმს. ქსელში ჩართვის საფასური «აბონენტს» არ უბრუნდება.

7.6. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ წერილობით არ აცნობა მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იგი ავტომატურად გრძელდება განუსაზღვრელი ვადით, ამასთანავე ძალაში რჩება პუნქტი 7.3. გათვალისწინებული პირობა.

მუხლი 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. 8.1. პუნქტის დებულება არ მოქმედებს, თუ ერთ-ერთი მხარის უფლებები ან|და ვალდებულებანი გასხვისებულია თავის კანონიერ მემკვიდრეზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარეთა სამართალმემკვიდრეზე.

8.3. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით. მხარეთა შორის შედგენილი ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება დაერთვება ხელშეკრულებას.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან 2 ეგზემპლარი გადაეცემა აბონენტს, ხოლო ერთი შემსრულებელს.

ხელშეკრულებას თან ახლავს ორი დანართი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ინახება ხელშეკრულებასთან ერთად.

8.5. ხელშეკრულება კონფიდენციალურია, მხარეები პასუხისმგებელი არიან მესამე პირისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემაზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6. იურიდიული მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან 3 (სამი) დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ.

მუხლი 9. დავების განხილვა

მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	აბონენტი:
საჯარო სამართლის იურიდიული პირი «სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო»	თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2	თბილისი, ი. ჭავჭავაძის კუთხ. №1.
საბანკო ანგარიში: ს.ს. „ბაზის ბანკი“	მ.კ. „ბესიკის ბაღი“ ს/ფ
ბანკის კოდი: CBASGE22;	ა/ა 345634
ა/ა GE59 BS00 0000 0000 3340 42,	ბანკის კოდი: 220101257
საიდენტიფიკაციოკოდი204429494	ს/კ. 204864548.
სააგენტოს უფროსის მოადგილე	თსუ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
_____ ზ. ლომიძე	_____ დ. ჩიქობავა
ბ.ა.	ბ.ა.

მომსახურებათა ჩამონათვალი:

სააბონენტო გადასახადი ერთ ტელეფონზე (თვეში)	სააბონენტო	დღგ(18%)	სულ
	60 ლარი	10,8	70.8

ინფორმაცია აბონენტის შესახებ

	ტელ. ნომერი	აბონენტი (სახელი, გვარი)	მისამართი:	თანამდებობა:	აბონენტთან დაკავშირების სხვა საშუალებები:
1	2660				
2					

შემსრულებელი

სსიპ «სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო»
სააგენტოს უფროსის მოადგილე

_____ ზ. ლომიძე

ბ.ა.

აბონენტი

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსურ-ეკონომიკური ხელმძღვანელი
ლ. ჩოჩხიძე

_____

ბ.ა.

დანართი N2

ფასიანი ზარების ტარიფები სახელისუფლებო სპეციალური კავშირების აბონენტებისათვის

N	ზონა, ქვეყნები და მიმართულებები	ღირებულება ლ/წთ
1	*2*	*3*
1.	ალბანეთი	0,35
2.	ალბანეთი (მობ)	0,51
3.	ანდორა	0,29
4.	ანდორა (მობ)	0,55
5.	არგენტინა	0,51
6.	არგენტინა (მობ)	0,82
7.	სომხეთი	0,35
8.	სომხეთი (მობ)	0,5
9.	ავსტრალია	0,3
10.	ავსტრალია (მობ)	0,52
11.	ავსტრია	0,23
12.	ავსტრია (მობ)	0,55
13.	აზერბაიჯანი	0,4
14.	აზერბაიჯანი (მობ)	0,52
15.	ბელორუსი	0,55
16.	ბელორუსი (მობ)	0,62
17.	ბელგია	0,23
18.	ბელგია (მობ)	0,62
19.	ბოსნია ჰერცოგოვინა	0,4
20.	ბოსნია ჰერცოგოვინა (მობ)	0.6
21.	ბულგარეთი	0,3
22.	ბულგარეთი (მობ)	0,81
23.	ჩადი	0,81
24.	ჩადი (მობ)	0,81
25.	ჩილე	0,6
26.	ჩილე (მობ)	0,81
27.	ჩინეთი	0,3
28.	ჩინეთი (მობ)	0,4
29.	კოლუმბია	0,51
30.	კოლუმბია (მობ)	0,81
31.	კოსტარიკა	0,51
32.	კოსტარიკა (მობ)	0,81
33.	ხორვატია	0,3
34.	ხორვატია (მობ)	0,51
35.	კუბა	3
36.	კუბა (მობ)	3,5
37.	კვიპროსი	0,3
38.	კვიპროსი (მობ)	0,42
39.	ჩეხეთი	0,24
40.	ჩეხეთი (მობ)	0,47
41.	დანია	0,22
42.	დანია (მობ)	0,54
43.	ეკვადორი	0,51
44.	ეკვადორი (მობ)	0,81
45.	ეგვიპტე	0,52

1	2	3
46.	ეგვიპტე (მობ)	0,81
47.	ესტონეთი	0,24
48.	ესტონეთი (მობ)	0,81
49.	ეთიოპია	0,81
50.	ეთიოპია (მობ)	0,81
51.	ფინეთი	0,24
52.	ფინეთი (მობ)	0,51
53.	საფრანგეთი	0,24
54.	საფრანგეთი (მობ)	0,47
55.	გერმანია	0,23
56.	გერმანია (მობ)	0,62
57.	გიბრალტარი	0,3
58.	გიბრალტარი (მობ)	0,55
59.	საბერძნეთი	0,22
60.	საბერძნეთი (მობ)	0,58
61.	ჰონგ კონგ	0,3
62.	ჰონგ კონგ (მობ)	0,51
63.	ბულგრეთი	0,23
64.	ბულგარეთი (მობ)	0,58
65.	ისლანდია	0,3
66.	ისლანდია (მობ)	0,55
67.	ინდოეთი	0,51
68.	ინდოეთი (მობ)	0,51
69.	ინდონეზია	0,81
70.	ინდონეზია (მობ)	0,81
71.	ირანი	0,42
72.	ირანი (მობ)	0,51
73.	ირლანდია	0,22
74.	ირლანდია (მობ)	0,51
75.	ისრაელი	0,22
76.	ისრაელი (მობ)	0,41
77.	იტალია	0,22
78.	იტალია (მობ)	0,62
79.	იაპონია	0,3
80.	იაპონია (მობ)	0,51
81.	იორდანია	0,51
82.	იორდანია (მობ)	0,81
83.	ყაზახეთი	0,35
84.	ყაზახეთი (მობ)	0,43
85.	კუვეითი	0,51
86.	კუვეითი (მობ)	0,81
87.	ყირგიზეთი	0,34
88.	ყირგიზეთი (მობ)	0,51
89.	ლატვია	0,3
90.	ლატვია (მობ)	0,52
91.	ლიბანი	0,81
92.	ლიბანი (მობ)	0,81
93.	ლიბერია	0,81
94.	ლიბერია (მობ)	0,81
95.	ლიხტენშტეინი	0,26

1	2	3
96.	ლიხტენშტეინი (მობ)	0,9
97.	ლიტვა	0,3
98.	ლიტვა (მობ)	0,46
99.	ლუქსემბურგი	0,23
100.	ლუქსემბურგი (მობ)	0,58
101.	მაკედონია	0,34
102.	მაკედონია (მობ)	0,58
103.	მალტის რესპუბლიკა	0,51
104.	მალტის რესპუბლიკა (მობ)	0,62
105.	მოლდოვეთი	0,36
106.	მოლდოვეთი (მობ)	0,52
107.	მონაკო	0,3
108.	მონაკო (მობ)	0,81
109.	ბირმა	0,81
110.	ბირმა (მობ)	0,81
111.	ნიდერლანდი	0,22
112.	ნიდერლანდი (მობ)	0,58
113.	ახალი ზელანდია	0,3
114.	ახალი ზელანდია (მობ)	0,55
115.	ნორვეგია	0,3
116.	ნორვეგია (მობ)	0,51
117.	პაპუა ახალი გვინეა	2,1
118.	პაპუა ახალი გვინეა (მობ)	2,1
119.	პოლონეთი	0,22
120.	პოლონეთი (მობ)	0,55
121.	პორტუგალია	0,23
122.	პორტუგალია (მობ)	0,58
123.	კატარი	0,58
124.	კატარი (მობ)	0,81
125.	რუმინეთი	0,34
126.	რუმინეთი (მობ)	0,58
127.	რუსეთი	0,26
128.	რუსეთი (მობ)	0,22
129.	რუსეთი – მოსკოვი	0,17
130.	რუსეთი – სანკტ პეტერბურგი	0,17
131.	სან მარინო	0,3
132.	სან მარინო (მობ)	0,51
133.	სერბეთი-მონტენეგრო	0,34
134.	სერბეთი-მონტენეგრო (მობ)	0,56
135.	სინგაპური	0,3
136.	სინგაპური (მობ)	0,51
137.	სლოვაკეთი	0,32
138.	სლოვაკეთი (მობ)	0,54
139.	სლოვენია	0,3
140.	სლოვენია (მობ)	0,81
141.	ესპანეთი	0,22
142.	ესპანეთი (მობ)	0,62
143.	შვედეთი	0,22
144.	შვედეთი (მობ)	0,54
145.	შვეიცარია	0,22

1	2	3
146.	შვეიცარია (მობ)	0,81
147.	სირია	0,81
148.	სირია (მობ)	0,81
149.	ტაივანი	0,3
150.	ტაივანი (მობ)	0,51
151.	ტაჯიკეთი	0,4
152.	ტაჯიკეთი (მობ)	0,51
153.	თურქეთი	0,26
154.	თურქეთი (მობ)	0,52
155.	თურქმენეთი	0,4
156.	თურქმენეთი (მობ)	0,51
157.	უკრაინა	0,38
158.	უკრაინა (მობ)	0,44
159.	არაბეთის საემიროები	0,62
160.	არაბეთის საემიროები (მობ)	0,62
161.	დიდი ბრიტანეთი	0,2
162.	დიდი ბრიტანეთი (მობ)	0,51
163.	აშშ/კანადა	0,22
164.	უზბეკეთი	0,34
165.	უზბეკეთი (მობ)	0,41
166.	ვენესუელა	0,81
167.	ვენესუელა (მობ)	0,81
168.	ზიმბაბვე	0,81
169.	ზიმბაბვე (მობ)	0,81
170.	ინმარსატ	17
171.	ირიდიუმი	14
172.	ანატრქტიდა	9
173.	დანარჩენი სხვა	2
174.	საქართველოს მობილური ოპერატორები (მაგთი, ჯეოსელი)	0,19
175.	საქართველოს მობილური ოპერატორები (ბილაინი)	0,23
176.	საქართველოს რაიონები	0,2
177.	ფიქსირებული ქსელი (თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში)	0,024

შემსრულებელი

სსიპ «სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო».
სააგენტოს უფროსის მოადგილე

_____ ზ. ლომიძე

ბ.ა.

აბონენტი

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ი. ჩოგოვაძე

_____

ბ.ა.

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№99 2011 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების, შემსყიდველი ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან დასაკავშირებელი სატელეფონო მომსახურების, ასევე საინფორმაციო ცენტრების მომსახურების შესყიდვაზე.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტო
შემოსავლის № 1 8421
28 01 2011 წ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
N 670 2010 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოსა" და სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის შექმნის შესახებ

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს" კუთვნილ სპეციალურ საკომუნიკაციო სისტემას განესაზღვროს **სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის სტატუსი.**

5. სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემა არის სპეციალური საკომუნიკაციო და სხვა ტექნიკური საშუალებებით კავშირების ერთიანი დახურული ქსელი (შემდეგში - სპეცკავშირების ქსელი), რომელიც აღნიშნული ქსელის შიგნით უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლესი და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, სახელისუფლებო დაწესებულებებს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, განსაკუთრებული მნიშვნელობის რეჟიმის, სარეჟიმო და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს სპეციალური კავშირებით, ამ კავშირების საშუალებით სატელეფონო საუბრებისა და სხვა სახის შეტყობინებების (მონაცემთა გადაცემა, ინტერნეტი) დაცულობას, საიმედოობას და ოპერატიულობას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

9. სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის ფუნქციონირებას, განვითარებასა და მართვას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო".

12. ყველა ორგანოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, **სადაც ხორციელდება საიდუმლო საქმისწარმოება,** საიდუმლო ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით გაცვლისათვის (როგორც ხმოვანი, ასევე მონაცემთა გადაცემა) გამოყენებულ იქნეს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემა. **აღნიშნულ დაწესებულებებში დაუშვებელია საიდუმლო ინფორმაციის ელექტრონული საშუალებით გაცვლისათვის სხვა სატელეფონო და მონაცემთა გადაცემის სისტემების გამოყენება.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს"
დებულება

მუხლი 2. სააგენტოს ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2. სააგენტო თავისი ამოცანების შესასრულებლად ფლობს და განკარგავს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემას, რომლის სტატუსს და გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 3. სააგენტოს კომპეტენცია

სააგენტო უფლებამოსილია:

ბ) ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და/ან ვიზუალურად განახორციელოს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების ქსელისა და აპარატურის მუდმივი მონიტორინგი ინფორმაციის დაცულობის შესამოწმებლად, სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემების განთავსებისა და ფუნქციონირების ადგილებზე;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს სახელისუფლებო

სპეციალური კავშირების სისტემაში ჩასართავი ან ჩართული სააბონენტო და სხვა მოწყობილობების შემოწმება.

მუხლი 4. სააგენტოს მართვა

2. სააგენტოს უფროსი:

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე, განსაზღვრავს სახელისუფლებო **სპეციალური კავშირების სისტემის სატარიფო პოლიტიკას**, სააგენტოს სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს და წარმოადგენს სააგენტოს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

11.01.2011წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო".

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი — ი.სადარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი — ა.კშკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი — ს.სანაძე

თსუ შესყიევების განყოფილების
უფროსი სპეციალისტი — დ.გაბრიაძე

თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის
უფროსი: — გ.გორაშვილი